23
1938
№ 2809

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ბოლშევიკური კადრებისათვის

29
მარტი
1938 წ. № 8 (124)

საქ. კ. პ. (ბ) თბ. სახ. უნივერსიტეტის პარტკომის, რექტორატისა და პროფკომის ორგანო

„ძველი ლოზუნგი — „ტექნიკა წყვეტს ყველაფერს“, რომელიც უკვე განვლილი პერიოდის გამოხატულებას წარმოადგენს, როცა ჩვენ სიმშილს განვიცდიდით ტექნიკის დარგში, — ახლა უნდა შეიცვალოს ახალი ლოზუნგით, ლოზუნგით იმის შესახებ, რომ „კადრები წყვეტენ ყველაფერს“. ეს არის ახლა მთავარი“.

ი. სტალინი

★

„ჩვენს ქვეყანაში კარგად სწავლა, სწავლის ფრიადოსნად ყოფნა სკოლაში — ეს ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც შრომის გმირობა ქარხანაში, კოლმეურნეობაში, კულტურის ფრონტზე“.

ლ. ბერია

სოციალიზმის ქვეყნის ახალი კადრები

საბჭოთა კავშირის ბედნიერი და თავისუფალი ხალხები, ურღვევი სტალინური მეგობრობით გაერთიანებულნი, ხალხთა დიდი ბელადის ბრძენი სტალინის ხელმძღვანელობით ძლევამოსილად მიდიან წინ კომუნიზმისაკენ.

ჩვენს ქვეყანაში, სოციალიზმის დიად სამშობლოში, დიდი ხანია რაც დამყარდა ის ბედნიერი და სამური ცხოვრება, რომელზედაც საუკუნეების განმავლობაში ოცნებობდნენ კაცობრიობის მოწინავე ადამიანები. სტალინური მზით გამთბარი ჩვენი ქვეყანა გადაიქცა სიხარულისა და ბედნიერების ქვეყნად, რომელსაც მსოფლიო ქვეყნის ჩაგრულნი იმედის თვალით შეჰყურებენ, როგორც მათს საიმედო დასაყრდენს.

საუკუნეების განმავლობაში დაბეჩავებულმა და დაჩაგრულმა ქართველმა ხალხმა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შესძლო ბედნიერი და თავისუფალი ცხოვრების მოპოება. საბჭოთა საქართველოში აყვავდა ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური კულტურა. ორდენოსანი საბჭოთა საქართველო ერთ-ერთი მოწინავე რესპუბლიკაა საბჭოთა კავშირის მოწინავე რესპუბლიკებს შორის. საქართველოს მეცნიერებამ, ტექნიკამ და ხელოვნებამ განვითარების ისეთ მაღალ დონეს მიაღწიეს, როგორსაც ისინი სხვა პირობებში ვერასოდეს ვერ მიაღწევდნენ.

ბედნიერია საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდობა ისე, როგორც მთელი საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობა. არც ერთ ქვეყანაში არ ეპყრობიან ახალგაზრდებს ისეთი მზრუნველობითა და სიყვარულით, როგორც ჩვენს ქვეყანაში.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ყოველდღიური მზრუნველობით, კერძოდ ქართველი ხალხის საამაყო შვილის, საუკეთესო სტალინელის ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** ხელმძღვანელობითა და შეუნელებელი ყურადღებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უკანასკნელი წლების განმავლობაში თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვა. სახელმწიფო უნივერსიტეტი 8 ფაკულტეტით, 60-მდე კათედრით, 500-მდე მეცნიერ მუშაკით, 5.000 სტუდენტით, საკუთარი საკვლეო-სამეცნიერო ინსტიტუტებით და საგამომცემლო პოლიგრაფიული ბაზით შეიქმნა მეცნიერებათა ახალი კადრების თვალსაჩინო კერა საქართველოში. სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდა ბოლშევიკური კადრების მნიშვნელოვანი ლაბორატორია.

წელს მესამეჯერ ჩატარდა უნივერსიტეტში სახელმწიფო გამოცდები: გამოშვება მხოლოდ ეკონომიურ ფაკ. ქონდა. სახელმწიფო გამოცდები ჩააბარა და ეკონომისტების სახელწოდება მიიღო 132 კაცმა. მათ რიცხვში 27 ფრიადოსანია, რომლებმაც პირველი ხარისხის დიპლომი მიიღეს. წინა წელთან შედარებით სტუდენტებმა გამოამჟღავნეს მეტი მომზადება, საგნის საფუძვლიანი ცოდნა, ზოგადი კულტურული განათლება და მაღალი პოლიტიკური დონე.

ბედნიერი, სამური და სასიხარულო ცხოვრების მქონე საბჭოთა საქართველოს ხალხი, სოციალისტური მშენებლობა, უნივერსიტეტიდან იღებს მეცნიერული ცოდნით აღჭურვილ ბოლშევიკურ კადრებს, ლენინ-სტალინის პარტიის მგზნებარე პატრიოტებს.

სახელმწიფო უნივერსიტეტში ყოფნის დროს ახალ კურსდამთავრებულებმა მიიღეს საკმაო თეორიული ცოდნა, მნიშვნელოვანი გამოცდილება, სერიოზული პარტიული და პოლიტიკური აღზრდა, პირველი ორგანიზაციული წრთობა, მაგრამ ყველაფერი ეს ცოტაა. მთავარი ჯერ კიდევ წინ არის „სკოლა **მხოლოდ მოსამზადებელი საფეხურია. კადრების ნამდვილი წრთობა ხდება ცოცხალ სამუშაოზე, სკოლის გარეთ, სიძნელეებთან ბრძოლისას, სიძნელეების გადალახვისას. გახსოვდეთ, ამხანაგებო, რომ მხოლოდ ის კადრებია კარგი, რომელთაც სიძნელეების არ ეშინიათ, რომლებიც სიძნელეებს არ გაურბიან, არამედ, პირიქით, სიძნელეებს ეგებებიან იმისათვის, რომ გადალახონ და ლიკვიდაცია უყონ მათ. მხოლოდ სიძნელეებთან ბრძოლაში იწრთობიან ნამდვილი კადრები“. (სტალინი)**

ბელადის ეს მითითება მტკიცედ უნდა ახსოვდეთ სახ. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ ამხანაგებს.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ კურსდამთავრებულები, ჩვენი მამისა და მასწავლებლის მშობლიური დიდი სტალინისადმი უდიდესი სიყვარულისა და განუსაზღვრელი ერთგულების გრძნობით გამსჭვალულნი, მთელს თავიანთ ენერგიას, ნებისყოფას, ცოდნას, გამოცდილებასა და ნიჭს მოახმარებენ კომუნიზმის საქმეს, ლენინ-სტალინის პარტიის საქმეს და ამით გაამართლებენ ორდენოსანი საქართველოს უმაღლესი მეცნიერების ლაბორატორიის — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელს.

გ. კიკნაძე (თ. ს. უ. რექტორი).
ნ. დევიძე (პარტკომის მდივანი).

კურსდამთავრებულთა საზეიმო გამოშვება

23 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში შესდგა ეკონომიური ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა საზეიმო გამოშვება. საზეიმო სხდომა გახსნა ეკონომიური ფაკულტეტის დეკანმა ამხ. კობახიძემ. საპატიო და საქმიანი პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ სახელმწიფო გამოცდების შედეგებზე და ახალ კურსდამთავრებულთა ამოცანებზე მოხსენებით გამოვიდა სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ამხანაგ გ. კიკნაძე.

მომხსენებელი შეჩერდა რა სახელმწიფო გამოცდების შედეგებზე, აღნიშნა, წელს შედარებით ორგანიზებულად და ნორმალურად ჩატარდა სახელმწიფო გამოცდები, რის შედეგადაც სახელმწიფო გამოცდებზე დაშვებულთა 83,5 პროცენტმა ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები, ეს მაშინ, როცა 1936 წელს ეკონომიური ფაკულტეტის კურსმოსმენილ სტუდენტთა მხოლოდ 36,6 პროცენტმა ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები.

მოხსენების შემდეგ ახალ კურსდამთავრებულებს პროფესორ-მასწავლებელთა სახელით მიესალმენ პროფესორი კ. მეგრელიძე და დოცენტი მიქელაძე.

კურსდამთავრებულთა სახელით გამოვიდნენ ვ. ლომაძე და ქაცარავა.

დასასრულს მოხდა ფრიადოსან კურსდამთავრებულთა დაჯილდოვება.

საზეიმო სხდომამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ქართველი ხალხის საყვარელ შვილს, საუკეთესო სტალინელს ამხანაგ ლ. პ. ბერიას.

საზეიმო გამოშვება ეკონომიური ფაკულტეტის კურსდამთავრებულებისა იყო, ეს მაშინ როდესაც სახელმწიფო გამოცდები ჩააბარეს და კურსდამთავრებულთა დიპლომები მიიღეს ისტორიის, ფილოლოგიის, გეოგრაფ-გეოლოგიისა და ქიმიის ფაკულტეტის სტუდენტებმა. მათი რიცხვი საკმაოდ დიდია. მათ შორის 16-დე ფრიადოსანია. ჩვენის აზრით საჭირო იყო მომხდარიყო მათი საზეიმო გამოშვებაც.

კურსდამთავრებული სტუდენტები ლ. ქაშაკაშვილი, ვ. შავგულიძე, ს. სტურუა, მ. ბარამიძე, ლ. გორგოშიძე, ა, ქორიძე, ვ. რუხაძე, ბ. სინაურიძე.

გამოცდების შედეგები

ეკონომიური ფაკულტეტის დაახლოებით 150 სტუდენტი აბარებდა სახელმწიფო გამოცდას. ეს პირველი შემთხვევაა თბილისის უნივერსიტეტის სინამდვილეში, როცა ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტთა ასე დიდი რაოდენობა გამოსულიყო სახელმწიფო გამოცდებზე.

უნივერსიტეტში მოკალათებული ხალხის მტრები ყოველგვარ ზომას ხმარობდნენ სტუდენტთა გამოშვების შესაფერხებლად. ეს განსაკუთრებით ეხება ეკონომიურ ფაკულტეტს, რომელიც მავნებლობის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდა. მავნებლები შლიდნენ სწავლების საქმეს და ცდილობდნენ კაზიუისტური კითხვებით განზრახ ხელი შეეშალად გამოცდებისათვის.

ახლახან დამთავრებული სახელმწიფო გამოცდები უაღრესად ხელსაყრელ პირობებში ჩატარდა. საგამოცდო კომისიას ოდნავადაც არ შეუნელებია საგნის მოთხოვნა, პირიქით იგი ძალზე გაზრდილი იყო ყველა საგანში. გამოცდებმა გვიჩვენა, რომ ჩვენს კურსდამთავრებულებს შეუძლიანთ ამ გაძლიერებულ მოთხოვნაზედაც სჭირო პასუხი გასცენ.

განსაკუთრებით მომზადებულნი იყვნენ სტუდენტები სტატისტიკაში და პოლიტიკურ ეკონომიაში. სუსტ ცოდნას იჩენდნენ სახალხო მეურნეობის ისტორიისა და წინა კაპიტალისტურ სამეურ- [illegible] ბისათვის მზადება ახლავე უნდა დაიწყოს. უნდა დაინიშნოს კონსულტაციები.

საგამოცდო კომისიის
თავმჯდომარე მურაჩაშვილი

ეს ხდება მხოლოდ სტალინის ქვეყანაში

სხვა დროში მე და ჩემი ამხანაგები ისევე უსწავლელნი და გაუნათლებელნი დავრჩებოდით, როგორც ჩემი წინაპრები. ასე სურდა მეფეს, კაპიტალისტებს. ასევე იქცევიან დღეს ისინი ჩვენს მოძმე მუშათა კლასს საბჭოთა საზღვრებს იქით. ფაშისტურ გერმანიაში მრავალი მილიონი ახალგაზრდაა უმუშევარი და „სულს სხეულში ძლივს ინარჩუნებენ" (ენგელსი). 35-40 წ. მუშებს სამუშაოზე არ ღებულობენ, აბა უმაღლეს განათლებას ვინ მისცემს მათ.

ჩვენში, სტალინის ქვეყანაში, აღარ არიან მჩაგვრელი კლასები, აღარაა უმუშევრობა, მრავალმილიონიანი ბედნიერი ახალგაზრდობა დიდის ენერგიით ეწაფება მეცნიერების ყველა დარგს, ეუფლება ტექნიკას, რათა იგი ადამიანის საკეთილდღეოდ გამოიყენოს.

ვ. ლომაძე.

კურსდამთავრებულები: კაკაბაძე, ბაგრატიონი, ნ. კრუკი, ჩ. გოგეშვილი, ნ. მელიქიშვილი, ქილიფთარი.

ენთუზიაზმით ვიმუშავებ

დავამთავრე ეკონომიური ფაკულტეტი. ენთუზიაზმით მივდივარ სამუშაოთ. ის ამაგი და დახმარება, რაც ლენინ-სტალინის დიადმა პარტიამ და ხელისუფლებამ გამიწიეს, გადავიხდი ჩემი დაუღალავი და ენერგიული მუშაობით.

დღეგრძელობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს ვუსურვებ ამხანაგ სტალინს — კაცობრიობის ამ უდიდეს გენიას.

თინა მელქაძე.

რაზედაც წინად მხოლოდ ოცნება შეიძლებოდა

გლეხის შვილს ვინ აღირსებდა წინად უმაღლესი ცოდნის მიღებას. მისთვის დახშული იყო მეცნიერების მწვერვალებისაკენ მისასვლელი გზები.

ახლა პირიქითაა: ყველას შეუძლია ისწავლოს, დაეუფლოს მეცნიერებას, გახდეს გმირი.

ჩემი სწავლის ისტორია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლიდან იწყება. მაღაროს მუშა ვიყავი. 1925 წელს კომკავშირის რიგებში მიმიღეს, ხოლო 1929 წელს ლენინ-სტალინის დიადი პარტიის წევრი გავხდი.

სას. სამ. მუშფაკის ფრიადზე დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტში შემოვედი და ხარბად დავეწაფე სწავლას. წარმატებით ვმუშაობდი, ვსწავლობდი, წარმატებითვე დავამთავრე უნივერსიტეტიც. მხიარული ვარ, რომ მეცნიერების ეპოქაში ვცხოვრობ და სტალინურ ზრუნვას განვიცდი.

ბ. სინაურიძე.

წინად და ახლა

უნივერსიტეტის დაარსება მჭიდროდაა დაკავშირებული რუსეთის 1917 წლის დიდ რევოლუციასთან და რევოლუციის გამარჯვებასთან. „თუ თბილისში ჯერ კიდევ 1917 წლის 9 იანვარს დაარსდა პოლიტექნიკური ინსტიტუტი და შემდეგ 1918-წლ. დასაწყისში გაიხსნა უნივერსიტეტიც, ორივე ეს საქმე იყო უფრო კერძო ინიციატივის ნაყოფი, ვინემ კერენსკის ან — მენშევიკების მთავრობათა საქმე. რომ არ დამხობილიყო კერენსკის ბურჟუაზიული მთავრობა და რუსეთში არ დამყარებულიყო საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც ნაციონალურ საკითხში გამოიწვია გარდატეხა, ქართული უნივერსიტეტის დაარსება თბილისში იმ დროს შეუძლებელი იქნებოდა" — სწერს ამხანაგ ფ. მახარაძე.

მენშევიკური ხელისუფლება უნივერსიტეტს ყურადღებას არ აქცევდა. 3 წლის განმავლობაში უნივერსიტეტი ქაოსსა და სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა. თუ რა მდგომარეობაში იყო თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტობა მენშევიკების დროს, ამას ნათლად მოწმობს სტუდენტთა წერილები მოთავსებული 1920 წლის გაზ. „სახალხო საქმეში". წერილებიდან სჩანს, რომ სტუდენტები აუტანელ სიდუხჭირეს განიცდიდნენ. იძულებული იყვნენ მეცნიერების დაუფლების მაგივრად დღიური ლუკმისათვის ეზრუნათ. მომარაგების სამინისტრომ სტუდენტებისათვის, როგორც იქნა 40 გირვანქა გამომცხვარი პური გაიმეტა, ხოლო როცა სტუდენტთა გამგეობამ მიმართა მოემატებიათ პური, ცივი უარით გამოისტუმრეს. ასეთმა მდგომარეობამ სტუდენტთა 90 პროცენტს ხელი აალებინა სწავლაზე.

ასეთი მდგომარეობის გამო ქართველი მენშევიკების ერთ-ერთი ლიდერი იძულებული იყო 1919 წელს „ქალაქის საბჭოს" სხდომაზე გაეცხადებინა. „რთული მდგომარეობაა ქალაქის სკოლებში. გაფიცულ მასწავლებელთა რიცხვი აღემატება 400-ს და უცბად შოვნა 400 კარგი და გამოცდილი მასწავლებლისა თითქმის შეუძლებელია".

აი სანამდე მიიყვანეს მენშევიკებმა სწავლა-განათლების საქმე ჩვენში.

დღეს ორდენოსანი საქართველო მოფენილია დაწყებითი, საშუალო, სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლებით. საქართველო გადაიქცა მოწინავე კულტურისა და წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის ქვეყნად.

დიდია ჩვენი უნივერსიტეტის მიღწევები კადრების აღზრდის საქმეში. თუ 1918-19 სამოსწავლო წელს საქართველოში იყო ერთი უმაღლესი სასწავლებელი და თბილისის უნივერსიტეტში იყო 16 პროფესორი, 7 ლექტორი, 2 ასპირანტი და 2414 სტუდენტი, ახლა არის 19 უმაღლესი სასწ-ლი და მათ შორის უნივერსიტეტში წელს გვყავს 77 პროფესორი, 210 დოცენტი, 62 ასისტენტი, 83 ასპირანტი 75 ლაბორანტი და 4398 სტუდენტი. 1922-23 სასწავლო წელს უნივერსიტეტმა გამოუშვა 115 კურსდამთავრებული, 1925-26 წელს 123, 1926-27 წ. 183, 1936 წელს 510. 1938 წელს მარტო ეკონომიური ფაკულტეტი 132 კაცმა დაამთავრა; აქედან პირველ ხარისხის დიპლომი მიიღო 27 კაცმა. დიდი წარმატება გამოიჩინეს სტუდენტებმა ა. ქორიძემ, კ. სტურუამ, ნ. მელიქიშვილმა, ქაცარავამ ვ. ტრაპაიძემ, ვ. გურგენიძემ, ნ. კრუკმა და სხვებმა, რომლებმაც სახელმწიფო გამოცდები ფრიადზე ჩააბარეს.

1936 წელს სახელმწიფო გამოცდები გაიარა 333 სტუდენტმა. მათგან დიპლომი მხოლოდ 122 სტუდენტმა მიიღო. ე. ი. გამოცდებზე გასულთა 36 პროცენტმა. წელს კი დიპლომი მიიღო გამოცდებზე გასულთა 83,5 პროცენტმა.

გასულ წლებთან შედარებით გაზრდილია კურსდამთავრებულთა ცოდნის ხარისხიც. ასე მაგალითად: 1936 წელს 122 კაციდან 28 მიიღო პირველი ხარისხის დიპლომი, წელს კი 111 (წინა წელს კურსდამთავრებულთა გამოკლებით) სტუდენტიდან 27 კაცმა.

111 კაციდან ფრიადზე ჩააბარა პოლიტეკონომია — 45 სტუდენტმა, სტატისტიკა — 46 სტ., ეკონომიური გეოგრაფია — 39 სტ., სამართალი—61 სტ., გეგმიანობა — 38 კაციდან ფრიადზე ჩააბარა 23, ფინანსები — 23 კაციდან 14, საქონელმცოდნეობა 20-დან 10, ბუხჰალტერია 30-დან 12 სტუდენტმა და ა. შ.

ეკონომიური ფაკულტეტი წელს ივნისში და ოქტომბერში გამოუშვებს 390 კურსდამთავრებულს, რომელთაგან ფრიადოსანია 137 სტუდენტი, დამკვრელი 48. ყველა ესენი აქედანვე უზრუნველყოფილი არიან კონსულტაციებით სახელმწიფო საგამოცდო საგნებში, რაც დიდ დახმარებას გაუწევს მათ. თუ 1937 წელს I სემესტრის შედეგად ფაკულტეტზე იყო 89 შეუფასებელი სტუდენტი რაც უდრის 14,73 % და 169 ფრიადოსანი, ახლა არის — 15 შეუფასებელი სტუდენტი რაც უდრის 1,3%-და 269 ფრიადოსანი.

გამარჯვებული და ბედნიერი ქართველი ხალხი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით სპობს ხალხის უსაზიზღრეს მტრებს და ძლევამოსილ საბჭოთა ხალხთან ერთად საქართველოს ბოლშევიკების ნაცადი ხელმძღვანელის საუკეთესო სტალინელის, ქართველი ხალხის საყვარელი შვილის ამხანაგ ლ. ბერიას ხელმძღვანელობით მიდის წინ კომუნიზმის ახალახალი გამარჯვებისაკენ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შექმნა და მისი ყოველი წარმატება დაკავშირებულია ამხანაგ ბერიას სახელთან, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით და მზრუნველობის შედეგად საქართველოს მშრომელებს არა ერთი და ორი ისეთი მეცნიერი ყავს, რომელთაც იცნობენ დიდი საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში.

ს. კოზბიძე.
ეკ. ფაკ. დეკანის მოადგილე.

კურსდამთავრებულები ქ. მჭედლიშვილი, ვ. ლომაძე, თ, მელქაძე.

კურსდამთავრებულები: ვ. ტრაპაიძე, ვ. გურგენიძე.

მსოფლიო პროლეტარიატის დიადი მწერალი

რევოლუციონერი მწერალი

(დაბადებიდან 70 წლის შესრულების გამო)

მეოცე საუკუნის უდიდესი რუსი მწერლის **მაქსიმ გორკის** სახელი განუყრელადაა დაკავშირებული ჩვენი პარტიისა და მისი უბადლო ხელმძღვანელების **ლენინისა** და **სტალინის** სახელთან. გორკი მუდამ გაბედული მებრძოლი იყო თვითმპყრობელობისა, მონობისა და პიროვნების დათრგუნვის წინააღმდეგ. ის ლიტერატურაში მებრძოლი იდეებით შემოვიდა, თან მოიტანა თავისი კლასის, პროლეტარიატის რევოლუციური აღტყინება.

გასაოცარი სისწრაფით იზრდებოდა გორკის სახელი. მოკლე ხანში მან ყველა ცნობილი რუსი მწერლის სახელი დაჩრდილა ევროპაში, და მილიონების საყვარელ მწერლად გადაიქცა. ამით იყო გამოწვეული, რომ 1901 წელს გერმანიის პრესაში ყველაზე მეტი წერილები რუსი მწერლებიდან გორკის შესახებ დაიბეჭდა. კრიტიკოსი ლეობრაჲი სწერდა: „ამ რამდენიმე წლის წინად გორკი გერმანიაში უცნობი იყო და ერთი წლის განმავლობაში მისი სახელი მთელს გერმანიას მოედო“-ო გორკის სახელი ფართოდ შეიჭრა საფრანგეთსა, იტალიასა და სხვა ქვეყნებში.

გორკის ასეთი პოპულარობა სათავეს იღებს მისი რეალიზმიდან, მონური ცხოვრების საწინააღმდეგო საბრძოლო განწყობილების პროტესტიდან, რომელიც მისი ნაწერების ყოველი ფურცლიდან მქუხარე ნაკადულად სჩქეფს.

გორკი ადამიანის ფსიქოლოგიის დიდი ოსტატია. იგი აგვიწერს ადამიანებს არა განყენებულად, მოწყვეტილად მთლიანი ცხოვრებისაგან, არამედ სოციალურ გარემოცვასთან დაკავშირებით. ამ მხრივ შესანიშნავია მისი „მატვეი კაჟემიაკინი“, „თომა გარდეევი“ და სხვა.

გორკიმ ეს შეძლო რადგან თვითონ იყო იგი ცხოვრების დუღილში, იცნობდა მას, თვით ქონდა გადატანილი მეფის თვითმპყრობელური რუსეთის ჯოჯოხეთური პირობები. ამ მრავალმხრივი წრთობის შემდეგ მწერლობაში შემოსულმა გორკიმ გამოამჟღავნა ცხოვრების ყველა კუნჭულის ღრმა ცოდნა და მისი მხატვრულ ტილოებზე გადმოტანის უდიდესი ნიჭი და პოეტური ალღო.

ლენინი მუდამ აფასებდა გორკის როგორც თანამებრძოლს, მწერალსა და ადამიანს. ეს დაფასება და სიყვარული გამოსჭვივის იმ 34 პირად წერილში რომელიც მან გორკის მისწერა.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გორკი თავის ნაწერებით მთლიანად ჩადგა პროლეტარიატის სამსახურში. ის ფხიზელი გუშაგია რევოლუციის მონაპოვარისა, ერთგულად იცავს ლენინ-სტალინის პარტიის დიად დროშას. და სწორედ ეს აღვივებდა დიდი ლენინის სიმპატიას გორკისადმი.

1906 წელს, პარტიის დავალებით მიემგზავრება რა გორკი ამერიკაში, მოგზაურობის დროს სწერს, შესანიშნავ რომანს „დედას“.

„დედა“ იძლევა პროლეტარული რევოლუციის ცოცხალ სურათებს. უკვდავი მხატვრული ნიჭით მან შექმნა მუშა ბოლშევიკების დაუვიწყარი სახეები. პელაგია-ნილოვნას სახე საუკეთესოა იმ სახეთა შორის, რომელიც კი შეუქმნია მსოფლიო მწერლებს. წინააღმდეგ მენშევიკებისა, და კერძოთ პლეხანოვის აზრისა, „დედას“ შესახებ ლენინმა სთქვა: „დედა არის მისი (გორკის) საუკეთესო ნაწარმოებთაგანიო“.

გორკის ინიციატივა ჩვენი ქვეყნის კულტურის ყველა დარგს შეეხო. რევოლუციის შემდეგ გორკი „ვსემირნაია ლიტერატურას“ გამოცემას ხელმძღვანელობდა. ხალხთა დიდ ბელადთან — სტალინთან ერთად გორკიმ წამოაყენა იდეა მრავალტომიან „სამოქალაქო ომის ისტორიის“ და „ფაბრიკა-ქარხნების ისტორიის“ გამოცემისა. გორკი პირველი იყო, რომელმაც ითავა მსოფლიო მასშტაბით კულტურისა და ხელოვნების მუშაკთა დარაზმვა ფაშიზმის წინააღმდეგ.

გორკი სძულდა ჩვენი ქვეყნის მტრებს. ისინი ცდილობდნენ გაეჩერებინათ კაცი, რომელსაც მთელი მსოფლიო უსმენდა. „გორკი მოსპობილ იქნას ფიზიკურად“ — გადაწყვიტეს საზიზღარმა ნაძირალებმა და თავიანთი გადაწყვეტილება იმით დაასაბუთეს, რომ „მ. გორკი ძლიერ ახლოს სდგას სტალინთან. ის უაღრესად დიდ როლს ასრულებს მსოფლიო და განსაკუთრებით დასავლეთ ევროპის საზოგადოებრივ დემოკრატიული აზრის სიმპატიების მოპოებაში სსრკ-სადმი. გორკი ფართე პოპულარობით სარგებლობდა, როგორც სტალინის უახლოესი მეგობარი და პარტიის გენერალური ხაზის გამტარებელი“. (ვიშინსკი).

მკვლელთა და ყაჩაღთა ბანდამ „მემარჯვენე ტროცკისტულმა ბლოკმა“ თავისი საზიზღარი გადაწყვეტილება შესრულა — სიცოცხლე მოუსპო პროლეტარული ლიტერატურის დიდ გენიოსს მ. გორკის — „რომლის სიკვდილი საბჭოთა ქვეყნისათვის ყველაზე დიდი დანაკლისი იყო ვ. ი. ლენინის სიკვდილის შემდეგ“. („პრავდა“)

ვ. წოწელია
თ. შანშიაშვილი.

მაქსიმ გორკი

„არ არის მართალი, რომ ცხოვრება ცუდია; არ არის მართალი, რომ ცხოვრებაში მხოლოდ ტანჯვა და კვნესაა, მხოლოდ მწუხარება და ცრემლებია!... ცხოვრებას აქვს თავისი გმირული, ნათელი და მშვენიერი შინაარსი. ცხოვრებაში მოცემულია ყველაფერი, რასაც კი კაცი მოისურვებს იპოვნოს იქ, რადგან კაცს აქვს ძალა შექმნას ის, რაც ცხოვრებას აკლია.. დიაღ, სიცოცხლე მშვენიერია, სიცოცხლე არის დიადი, დაუძლეველი მოძრაობა საყოველთაო ბედნიერებისა და სიხარულისაკენ. მე მრწამს, ეს, და არ შეიძლება არ მრწამდეს. მე მძიმე გზა გამომივლია: არც ერთს თქვენთაგანს არ გამოუვლია იმდენი მწუხარება, წვალება და დამცირება, რამდენიც გადამიტანია მე... მაგრამ სიცოცხლე მაინც მშვენიერია“ — ამას ამბობს მაქსიმ გორკის ერთი მოთხრობის გმირი, და შეიძლება ითქვას, რომ ეს სიტყვები თვითონ მაქსიმ გორკის, ამ უდიდესი პროლეტარული მწერლის, გამოცდილებას და მის ღრმა რწმენას გამოხატავენ.

მართლაც, მძიმე და რთული იყო ამ დიდი ადამიანის ცხოვრების გზა.

ათი წლის ჰასაკიდან იძულებულს საკუთარი შრომით ერჩინა თავი, მაქსიმ გორკის არ მიეცა საშუალება თვითმპყრობელური რუსეთის პირობებში სკოლის სისტემატური კურსი გაევლო. მიუხედავად ამისა, თუ მაქსიმ გორკი მაინც იქცა ძალიან ფართო და ღრმა განათლებით აღჭურვილ ადამიანად, ყველაფერი ეს მან თავისი დამოუკიდებელი და ბეჯითი შრომით შეიძინა. პუშკინის შესახებ ხშირად ამბობდნენ, რომ ის იყო მწერალი-ავტოდიდაქტი. მაგრამ არა ნაკლები უფლებით შეიძლება ითქვას ეს მაქსიმ გორკის შესახებ, რომელსაც არც ბიძა ყავდა პოეტი, არც მშობლები ყავდა, ისეთი, რომ იგი თავის ოჯახში დაახლოვებოდა ლიტერატურის კორიფეებს. მაქსიმ გორკის შეეძლო განათლებისაკენ გზა გაეკაფა ცოდნისადმი მხოლოდ იმ დიდი სიყვარულის მეოხებით, რომელიც მარტო იშვიათი ნიჭის ადამიანს ახასიათებს. სწორედ ამ დიდმა ნიჭმა მისცა მაქსიმ გორკის შესაძლებლობა გადაელახა ის დაბრკოლებანი, რომელთაც თვითმპყრობელური რუსეთი ქმნიდა გორკის სოციალური წრის ადამიანებისათვის. მაქსიმ გორკი განიცდიდა დევნას მეფის რუსეთის საშინელ პოლიტიკურ პირობებში. მძიმე ეკონომიური ყოფა, მრავალი დამცირება და ბოლოს ციხე, როგორც პოლიტიკურად „არასაიმედო“ პიროვნებას — აი რა ერგო გორკის ძველი წესწყობილებისაგან.

რომ გორკი არაჩვეულებრივი ნიჭისა და იშვიათი ნებისყოფის კაცი არ ყოფილიყო, ასეთი გარემოცვა ჩაუკლავდა მას მაღალ მისწრაფებებს და უფერულ კაცად აქცევდა. მაგრამ სწორედ ეს მძიმე გამოცდილება შეიქნა საბაბი იმისა, რომ გორკის მდიდარი პიროვნება გადაშლილიყო მთელი თავისი სიღრმითა და სიძლიერით. დაბეჩავებული და დაჩაგრული მასების გაჭირვების უშუალო გაცნობიდან, თავის საკუთარ ცხოვრების მაგალითზე, მაქსიმ გორკიმ ის ურყევი დასკვნა გამოიტანა, რომ მთელი თავისი არსებით შეიძულა ძველი რუსეთის საძაგელი სოციალ-პოლიტიკური წესწყობილება, რომელიც იმონებდა მრავალმილიონიან ხალხს. თავისი დიადი ნიჭიც გორკიმ მოანდომა მას, რათა ამ გრძნობისათვის მიეცა მხატვრული გამოსახულება. თავის შესანიშნავ პოეტურ ქმნილებებში („ქარიშხალა“ „სიმღერა შავარდენზე“ და სხვ.) მწერალი ებრძოდა ყოველგვარ ჩაგვრას და ქადაგებდა ადამიანობის მაღალ იდეალებს.

მაქსიმ გორკის შემოქმედებაში, პირველი ნიმუშებიდან („მაკარ ჩუდრა“, „ჩელკაში“ და სხვ.) დაწყებული და მისი უკანასკნელი თხზულებებით („კლიმ სამგინის ცხოვრება“, „არტამონოვების საქმე“, „ეგორ ბულიჩევი“) გათავებული მოცემულია მხატვრულ ფორმაში შემოსილი ზიზღი და შეურიგებელი მტრობა ადამიანის ექსპლოატაციაზე აგებული ცხოვრების მიმართ. და სწორედ ამიტომ იქცა მაქსიმ გორკი უსაყვარლეს მწერლად არა მხოლოდ რუსი ხალხისათვის არამედ მთელი მშრომელი კაცობრიობისათვის.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი, რომელსაც მაქსიმ გორკი პროლეტარული მოძრაობის დიდ ბურჯად მიაჩნდა, სრულიად სამართლიანად ამბობდა რომ გორკის რომანი „დედა“, სადაც ასე კარგად არის აღწერილი პროლეტარიატის რევოლუციური გამოსვლა რუსეთში, გახდა დასავლეთ ევროპის ყოველი მუშის სამაგიდო წიგნადო. დღეს, გორკის დაბადებიდან 70 წლის თავზე, კიდევ უფრო მეტი საბუთით შეიძლება განვიმეოროთ ლენინის ეს სიტყვები.

თანამედროვე მშრომელ კაცობრიობას მთელს მსოფლიოში არა ყავს გორკიზე უფრო საყვარელი მწერალი.

მაქსიმ გორკი ღირსეული მემკვიდრე იყო მე-19 საუკუნის კლასიკური რუსული ლიტერატურის სახელოვანი ისტორიული ტრადიციებისა. ამიტომ სრულიად სამართლიანად ათავსებენ მაქსიმ გორკის რუსული ლიტერატურის იმ მთავარ ხაზზე, რომელსაც ეკუთვნიან პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტოლსტოი, დოსტოევსკი, ნეკრასოვი. მაქსიმ გორკის სახით ჩვენი დროის სოციალისტურ საზოგადოებას ყავს პროლეტარული მწერლობის უდიდესი წარმომადგენელი.

მიუხედავად იმ ტანჯვა-ვაებისა, რომელსაც აგვიწერს გორკი თავის მხატვრულ ქმნილებებში, არასოდეს მისი ნაწერები არ აღვიძებენ მკითხველში პესიმისტურ გრძნობებს. პირიქით, გორკის შემოქმედება დიდი და ნათელი ოპტიმიზმით არის გაჟღენთილი და უნერგავს მკითხველს ცხოვრებისადმი ღრმა ნდობას. ეს ნდობა და ოპტიმიზმი არის ოპტიმიზმი იმ სოციალური კლასისა, რომელსაც კარლ მარქსის „კომუნისტური მანიფესტის“ სიტყვით არაფერი აქვს დასაკარგავი, გარდა ბორკილებისა.

ქართველი ხალხისათვის არ შეიძლება განსაკუთრებით არ იყოს სასიამოვნო იმის მოგონება, რომ მაქსიმ გორკიმ თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო აქ, საქართველოს დედა-ქალაქში, 1892 წელს.

გავიდა მას შემდეგ რამდენიმე წელი, გორკი იქცა მსოფლიო პროლეტარული ლიტერატურის უდიდეს კლასიკოსად, მუშათა კლასის სიამაყედ. რა გასაკვირია, რომ ეს დიდი და ხალხის ჩაგრული მასებისათვის საიმედო ძალა აღარ დაინდვეს ხალხის საზიზღარმა მტრებმა, და თავისი ავაზაკური ხელით, ჩუმად, მალულად, ვერაგულად გამოასალმეს იგი წუთისოფელს.

ხალხის ამ საზიზღარ მტრებს საკადრისი სასჯელი მიეზღოთ.

მაქსიმ გორკის ხსოვნა მარად წარუშლელი დარჩება მთელი ქვეყნის მშრომელთა გულში.

ბ. ზაშაძე.

პეტრე მელიქიშვილის ხსოვნას

საქართველოს უნივერსიტეტის დაარსების პირველ დღიდანვე, პეტრე მელიქიშვილი როგორც ერთ-ერთი ფუძემდებელი, სათავეში უდგება მას და იწყებს ორგანიზებას, რასაც თავის ძალღონეს და გამოცდილებას სწირავს. პ. მელიქიშვილი, როგორც შორსმჭვრეტი კარგად გრძნობს და ითვალისწინებს იმ როლს, რომელიც უნდა ითამაშოს უნივერსიტეტმა მომავალი მეცნიერული კადრების აღზრდის საქმეში. დიდის ენთუზიაზმით და აღფრთოვანებით უძღვება ამ საქმეს. განსვენებულმა მცხოვანმა მეცნიერმა, მის გარშემო შემოიკრიბა რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში მყოფი და ადგილობრივ ქართველ მეცნიერთა ძალები და დაუღალავი მუშაობით საქართველოს უნივერსიტეტს მაღალი ავტორიტეტი შეუქმნა.

პ. მელიქიშვილი, როგორც დიდი მეცნიერი და ქიმიკოსი, — ცნობილი იყო არა მარტო რუსეთში, არამედ საზღვარგარეთაც. მისი მრავალრიცხოვანი შრომები ორგანულ, არაორგანულ, აგრონომულსა და სხვა ქიმიებში დიდი ღირებულებისაა. ამ შრომებმა გამოქვეყნებისთანავე მიიპყრეს განსაკუთრებული ყურადღება და ინტერესი საზოგადოებისა. პ. მელიქიშვილის მიერ 83 მეტ დატოვებულ შრომებში მოსჩანს მდიდარი და მრავალფეროვანი მისი ბუნება. იგი არ ჩაკეტილა კვლევის ერთ-ერთ ვიწრო სფეროში, არამედ საკვლევო ობიექტებისადმი გაუშლია ფართო ასპარეზი, რაც გამოიხატება მისი შრომების ორიგინალობაში.

პ. მელიქიშვილი ის ადამიანია, რომლის ხელშიაც აღიზარდა მრავალი დიდი მეცნიერი და მკვლევარი. მაგალითად აკადემიკოსი ზელინსკი, ბეზრედკა, პისარჟევსკი, პროფ. პეტრენკო, კრიჩენკო, ი. მოსეშვილი და სხვ. პ. მელიქიშვილი დიდი ენთუზიასტი იყო საზოგადოებრივ მუშაობაში. იგი, როგორც რუსეთში, ისე ჩვენში მრავალი მეცნიერული საზოგადოების აქტიური მონაწილე და საპატიო წევრი იყო.

მას უსაზღვროდ უყვარდა ახალგაზრდობა და მუდამ მზად იყო მათზე დახმარებისა და სამსახურისათვის. მთელი თავისი სახელოვანი ცხოვრება მან ახალგაზრდების აღზრდას და მეცნიერებას მოახმარა. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისი ცხოვრება და მოღვაწეობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. იგი განსაკუთრებული ენერგიით და ხალისით მუშაობდა. ბოლშევიკური პარტია ღირსეულად აფასებდა მის მოღვაწეობას და განსაკუთრებული მზრუნველობითა და პატივისცემით ეპყრობოდა მას. მელიქიშვილი, როგორც ყოველი საბჭოთა მეცნიერი, განსაკუთრებული ყურადღებითა და მზრუნველობით იყო გარემოცული პარტიისა და ხელისუფლების მიერ. მელიქიშვილი გრძნობდა ამას, ამიტომ იგი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე იბრძოდა საბჭოთა მეცნიერების აღორძინებისა და ახალი კადრების აღზრდისათვის.

პ. მელიქიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა მუდამ დარჩება დაუვიწყარ მაგალითი თავდადებული და უანგარო სამსახურისა, მეცნიერებისა და ხალხის კეთილდღეობისათვის.

პროფ. ნ. ციციშვილი.

როგორ ვმუშაობ

მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისიდან ქიმიის ფაკულტეტზე ვხელმძღვანელობ პარტისტორიის ძირითადი მომენტების შემსწავლელ პოლიტსკოლას.

სისტემატურად ვესწრები სემინარს ვამუშავებ მასალას მარქსიზმის კლასიკოსთა ნაწერების მიხედვით. მეთოდად გამოყენებული მაქვს ცოცხალი საუბარი, რაც დიდ ინტერესს იწვევს მსმენელებში. მინიმუმამდეა დაყვანილი გაცდენა, დაგვიანება. მსმენელები მომზადებული ცხადდებიან მეცადინეობაზე, ადგენენ კონსპექტებს, რომლის შემოწმებასაც სისტემატურად ვახდენ.

პოლიტსკოლა ჩაბმულია სოცშეჯიბრებაში. აგრეთვე გაშლილია ინდივიდუალური შეჯიბრი. თვითეულ მსმენელს აღებული აქვს კონკრეტული ვალდებულებები.

მასალის ღრმად დაუფლების მიზნით დავათვალიერეთ რევოლუციური მუზეუმი, ავლაბრის რესტავრირებული სტამბა. რამდენჯერმე მოვაწყვეთ კოლექტიური წასვლა კინოში, ვსწავლობთ ჩვენი პარტიის ბელადებისა და მათი თანამებრძოლების ბიოგრაფიას, რისთვისაც ვაწყობთ დამატებით მეცადინეობებს.

პოლიტსკოლაში საუკეთესო მსმენელებია ჰასან მახარაძე, ჩალ-ოღლი, მარკალიტა გიორგაძე, შალვა ჩირიკაშვილი, ნადია ჩაგანავა, დავით ასიტაშვილი და სხვები.

სუსტად მუშაობს საკუთარ თავზე ქეთო ენუქიძე. იგი მოუმზადებელი ცხადდება მეცადინეობაზე, არ ადგენს კონსპექტს და სხვ.

სათანადო ხელმძღვანელობას გვიწევს უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტი და ქიმიის ფაკულტეტის კომკავშირის ბიურო. მათ მოისმინეს პოლიტსკოლის მუშაობის ინფორმაცია და მოგვცეს საჭირო მითითებანი.

საჭიროა მომავალში სისტემატურად ხდებოდეს სოცშეჯიბრების შედეგების შემოწმება. მოწყობილ იქნეს პროპაგანდისტთა თათბირები გამოცდილებათა გაზიარების მიზნით; შეძენილი იქნეს რუქები, ყოველივე ეს ხელს შეუწყობს პოლიტსწავლების ხარისხის ამაღლებას

პროპაგანდისტი ს. ჭოლოკავა.

მოწინავენი შედიან პარტიის რიგებში

გეოგრაფ-გეოლოგიური ფაკულტეტის კომკავშირის ორგანიზაციამ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესწავლას ენერგიულად მოკიდა ხელი.

ფაკულტეტის მოწინავე სტუდენტებს შეაქვთ განცხადებები ბოლშევიკური პარტიის რიგებში მისაღებათ. დღემდე ფაკ. კომკავშირის ბიურომ რეკომენდაცია მისცა 20 სტუდენტს, რომელთა შორის არიან ფრიადოსნები: გ. კავლელაშვილი, ზ. სამხარაძე, პ. ხუციშვილი და სხვ.

იზრდება ალკკ რიგებიც. ახლო ხანში ფაკ. კ. კ. ბიურომ კომკავშირის წევრად მიიღო 40 სტუდენტი.

ავდიკო მასხარაშვილი.

აღმოიფხვრას ნაკლოვანებანი

ბიოლოგიური ფაკულტეტის კ. კ. ბიურომ ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყო პოლიტსკოლის მეცადინეობაზე მსმენელთა 100 პროცენტით დასწრება. ზოგი ჯგუფორგი (მეგრელიძე, კერესელიძე) და პროპაგანდისტი (მამალაძე) უმიზეზოდ გამცდენებს პასუხს არ სთხოვენ. ვ. ბერაძეს, ვ. სადალაშვილს, ა. თავართქილაძეს და სხვებს უმიზეზოდ გაცდენილი აქვთ 5-3 მეცადინეობა.

აღსანიშნავია აგრეთვე მსმენელების მიერ ხშირი დაგვიანება, რაც ხელს უშლის ნორმალურ მუშაობას.

პოლიტსკოლებში სოცშეჯიბრების გაშლას საკმაო ყურადღება არ ექცევა. პირველ სემესტრში სოცშეჯიბრების გარეშე 50 მსმენელი იყო დარჩენილი, ჯგუფორგი მალანია აცხადებს, რომ „მე მეგონა რომ სოცშეჯიბრება გაშლილი იყო“. ეს განცხადება უპასუხისმგებლობას მოწმობს.

საჭიროა აღნიშნული ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის დროზე იზრუნოს ბიოლოგიური ფაკულტეტის კ. კ. ბიურომ.

ი. მ—ძე.



კურსდამთავრებული სტუდენტები კ. გაფრინდაშვილი, შ. დაბრუნდაშვილი დ. გაგნიძე

მადლობა დიდ სტალინს

მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის სკოლა არ შეიძლება შეედაროს საბჭოთა სკოლას. აქ ახალგაზრდობის აღზრდის ყველა და საუკეთესო პირობაა შექმნილი. ეს შედეგია ადამიანზე სტალინური ზრუნვისა. ასეთი ზრუნვისა და დახმარების შედეგად წარმატებით ვსწავლობდი და უნივერსიტეტიც პირველი ხარისხის დიპლომით დავამთავრე. უნივერსიტეტში შემოსვლისთანავე მიზნად მქონდა დასახული ვყოფილიყავი მოწინავე სტუდენტი, როგორც აკადემიური წარმატების მხრივ, ისე საზოგადოებრივი მუშაობის დარგში, რასაც მივაღწიე კიდეც.

პირობას ვიძლევი, რომ მოწინავე ვიქნები იმ სამუშაოზედაც, სადაც პარტია და ხელისუფლება გამგზავნის.

მადლობა დიდ სტალინს, რომელმაც საბჭოთა ქვეყნის ხალხებს საამური და სასიხარულო ცხოვრება შეუქმნა.

კოტე გაფრინდაშვილი.

რუქებს არ იყენებენ, ლექცია კი ცდება

გეოგრაფ-გეოლოგიური ფაკულტეტის მესამე კურსზე ხშირად ცდება ფიზიკური გეოგრაფიის ლექცია, რადგან მეორე კორპუსის სალექციო დარბაზში, რომელიც ამ საგნის წასაკითხადაა განკუთვნილი, არ არის საკმაო რუქები.

ის ამბავი, რომ რუქები ჩაკეტილ კაბინეტშია და საჭიროების დროს ვერ იყენებენ, მრავალჯერ ეცნობა დეკანატს, მაგრამ ეს უკანასკნელი ამით არ დაინტერესებულა.

ავდიკო მასხარაშვილი.

კონკურსი საუკეთესო კორპუსსა და ოთახზე

უნივერსიტეტის რექტორატისა და კულტსაყოფაცხოვრებო სექტორის მიერ მიმდინარე წლის პირველი თებერვლიდან პირველ ივნისამდე გამოცხადებულია კონკურსი სტუდ. ქალაქის საუკეთესო კორპუსსა და ოთახებზე. კონკურსის პირობები ითვალისწინებს საერთო საცხოვრებლებში სანიტჰიგიენური პირობების დაცვას, კულტმასობრივი მუშაობის გაშლასა და ოთახების კეთილმოწყობას.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია ჯილდოები: კორპუსებისათვის — გარდამავალი დროშა, ოთახებისათვის: პირველი ჯილდო 100 მან. მეორე ჯილდო — 75 მან. მესამე — 50 მან.

შექმნილია საკონკურსო ჟიური. კონკურსში ჩაბმულ კორპუსებთან გამოყოფილია კომისია რომლებიც ექვსდღიურში ერთხელ მოახდენენ ოთახებს შორის დადებულ სოცშეჯიბრების მუხლების შესრულების შემოწმებას.

ფალიაშვილის ქუჩასა და ბამბის რიგზე მდებარე სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებში სტუდენტები არ იცნობენ საკონკურსო პირობებს. ამ ბინებში არ იცავენ სისუფთავეს, არ აქვთ წითელი კუთხე, არ არის გასართობები, კედლის გაზეთები არ მუშაობენ, კომენდატები კი ნაკლებად ზრუნავენ კორპუსების კულტურულად მოწყობაზე.

საჭიროა ეს კორპუსები დაუყოვნებლივ ჩაებან სოცშეჯიბრებაში.

ივანე მარაქველიძე.

ვიმუშავებ სტალინური სტილით

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გატარების შედეგად, გაეხსნა გზა სწავლაგანათლებას. ყველას აქვს უფლება და შესაძლებლობა ისწავლოს თავის მშობლიურ ენაზე.

მხოლოდ ბრწყინვალე, სტალინურ ეპოქაში ახალგაზრდობა ბედნიერი, რომელსაც ნიჭისა და შემოქმედების გაფურჩქვნის ფართო გასაქანი აქვს. მეც, როგორც სტალინური ეპოქის შვილმა, მიზნად დავისახე გავმხდარიყავი სწავლის ფრიადოსანი.

ვიქნები სიძნელეებთან შეუდრეკელი მებრძოლი, ვიმუშავებ სტალინური სტილით.

მადლობა დიდ სტალინს ბედნიერი და საამური ცხოვრებისათვის.

მადლობა საუკეთესო სტალინელს ამხანაგ ლ. პ. ბერიას.

დ. გაგნიძე.

ერთსულოვნად გამოეხმაურნენ

25 მარტს, იურიდიული ფაკულტეტის პირველ კურსზე მოისმინეს ინფორმაცია თ. ავიაქიმის მე-12 ლატარიის ბილეთების შეძენის შესახებ. ამხანაგებმა პუჯეჯიანმა, ვეფხვაძემ, ჟორდანიამ, პიგვავამ, ი. კეკელიძემ, ამაშუკელმა, ნიკოლეიშვილმა, თავართქილაძემ, ფონიამ, ჩაჩიბაიამ, ბლუაშვილმა, კაპანაძემ, გოგოლაძემ, ლარცულიანმა, ზურაპიანმა და ნ. მარაშენიძემ, თვითეულმა შეიძინეს 12-15 მანეთის ბილეთი. ფაკულტეტის პირველი კურსის ჯგუფებმა ნაცვლად — 252 მანეთისა გაავრცელეს 558 მანეთის ბილეთი.

გ. დარახველიძე.

ლიტქრონიკა

რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრამ 18 მარტს თბ. სახ. უნივერსიტეტში მოაწყო ღია სხდომა ძველი რუსული ლიტერატურის უდიდესი ძეგლის „Слово о полку Игореве“-ს დაწერიდან 750 წლის შესრულების გამო. სხდომაზე მოსმენილი იქნა:

1) პროფ. ს. დანელიას შესავალი სიტყვა ქართულ ენაზე.

2) დოც. დ. მგელაძის მოხსენება «История древн. помятника русской литературы «Слово о полку Игореве».

3) დოც. ს. ვაჩნაძის მოხსენება „Словарный состав «Слово о полку Игореве»

4) დოც. გრ. ჯაფარიძე — „თქმულება იგორის ლაშქრობაზე, როგორც რუსული პოეზიის უძველესი ლიტერატურული ძეგლი“.

სხდომა ჩატარდა დიდი ინტერესით.

განზრახულია ამ ძეგლის შესახებ მოეწყოს კათედრის სხდომა თბილისის მასწავლებელთა სახლშიც.

პასუხისმგებელი რედაქტორი
გრ. გელბახიანი.

ტირაჟი 4000 სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა-ლიტოგრაფია, მარის ქ. № 1. მთავლიტის რწმუნებული 2141